

კვირა, 21 გარიაშვილისთვე, 1916 წ.



ი მ ე ლ ი

### გიშრის ჯვარი

...იცი, სატრფოვ, რა ვიხმარე  
შე მაგ ჯვარის მოსაკაზმად?  
გრძნობის წმიდა ნაპერწკლებო  
დავაპკურე აიაზმად;

წარვსთქვი ლოცვა საიღუშლო,  
მგოსნის სულის აღმაფრენი,  
ცეცხლის ენით ამოგვეფეთე  
მაგ გიშერზე სახე შენო.

მკერდს ჩავიკარ... სასოებით  
ვეამბორე, ზე აღვმართე...  
და ამ ამბორს სული ჩემი  
ჩავაგრიხე, ჩავახლართე!..

შიგ ჩავნასკვე გრძნობა მწველო,  
შიგ დავმარხე მგოსნის ქნარი,  
და მოგიძღვენ, სულის მეფევე,  
ეგ პატარა გიშრის ჯვარი!..

განდევილი.

### გაითა-გაე\*)

შენისთანა მშვენიერი  
და ლამაზი, მზეთა-მზეო,  
არ უხილავს ჯერ ჩემ თვალებს,  
სანუკვარო ზესთა-ზეო.

ჭირის, ვარმის, სევდა-ნაღვლის  
უკუ მყრელო, მძლეოთა მძლეო,  
უგულთა გულთა შორის  
უნდა დავდო სანაძლეო,—  
რომ ქვეყანა მოიარონ,  
შეაჯერონ ერთა ერი,  
ვერა ჰპოონ შენისთანა  
წარმტაცი და მშვენიერი!


მხოლოდ ბაღს კი შეუძლია,  
რადგანა აქვს ნაზი სული,  
შენს სიტუროფე-სილამაზეს  
შეადაროს ღვინის გული.

შენისთანა მშვენიერი  
და კოპწია, მზეთა-მზეო,  
არ უხილავს ჯერ ჩემ თვალებს,  
სანუკვარო ზესთა-ზეო.

ალარ მინდა შეიჯობრება,  
ვისთან რა მაქვს სანაძლეო,  
დიდებულ მზის გულ-სასვენო,  
დღე და ღამის სამოთხეო!..

შიო მღვიმელი.

\*) სოფ. მზეთა-მზე მღვიმარეობს  
წალვერის თავზე, მახლობლად.



რთველი კახეთში

### ქორწილი

ჯვარის წერას ვერ მივუსწარი. ჯერ კიდევ შორიდან მესმოდა დილის ხმა, ტაში და უღარდელი სიცილი. როცა ჭიშკარში ჩავედი, ქორწილი გაჩაღებული დამხვდა. ეზო ღობეზე მიბმულ ცხენებით იყო სავსე. ჩრდილში ისხდნენ სტუმრები და შექცევოდნენ: იქ კამათელს აგორებდნენ, აქ ბანქოს არიგებდნენ; ორი ყმაწვილი ცაცხვას ძირში იდგა; ერთი საიდუმლოთ ჩასჩურჩულებდა, მეორე კი რევოლვერს სწმენდდა. მაღალი აიენის ახლო, კაკლის შტოებ ქვეშ, უფრო საპატიო სტუმრებს, უფრო მოხუცებულთ, მოეყარათ თავი და თითქოს ბჭობა აქვე ქვეყნის სვე-ბედზეო, დიდის სიჩუმისა და ფიქრის შემდეგ დინჯად იტყოდნენ ორიოდ სიტყვას: „კაი კაცია ჩვენი ბოქაული“, „უბედური როსტომი გადაცვლილა“, „ერთი ორი კვირე და მთებს დათოვს“, „თუ კიდო არ გათავდა ჩვენი ტყის გაყოფა, დევილუპეთ შენი მტერიო, ორმოცი წელიწადი კი იქნება, რაც საქმე სწარმოებს და საშველი არაფერი მიეცა“.

ამ ღრმად ნაგრძობს და ასჯერ განზომილს სიტყვებს, ძველებურათ, ჩვენებურად სიღინჯით და სიტყვის დაფასებით უპასუხებდნენ: „მართალი ბრძანებაა“, „აცხონოს ღმერთმა, მთელი გვარის თვალი იყო“, „იღუპება, ბატონო, თავად-აზნაურობა, მარა გამკითხავი, ვინ არის“.

ცხენი ჩამომართვეს.  
მომეგებენ.  
მივეგებენ.  
ახალი სიძე გამაცვენს.  
მეფე-დედოფალს, მათ დედ-მამას მიულოცე.

— ეს ჩვენი ახალი რძალია, ბესოს ცოლი, ლამაზობას ჩემობს—ხუმრობით გამაცნო ლიდიკომ ერთი ქალი.

— ქა, რათ მარცხენ უცხო კაცთან!—ცოტა შეწითლებით უპასუხა ახალგაზდა ქალმა.

— მთლად უცხო არ გახლავარ—მიუგე მე—ბესო ჩემი ბაბუდაშვილია.

— ძლიერ სასიამოვნოა!—და ქალმა მაშინვე რაღაც შეუმჩნეველი და-

ხლოვება მაგრძნობინა თქვენმა მზემ, თვითონ მეუბნებოდა დილით, მაყრებს გადავრეგო! პატარძალისთვის არ გვიცმევია იმდენს ხანს, რაც ლიზიკოს ვუფათურეთ.

— შენი ჩიხტა-კოპის პატრონი რომ კიდევ მე დამცინოდეს! მარტო კავების გრება რათ ღირს! მერე იცი, აგერ ორი წელიწადია ჯვარი დეიწერა და სულ მის ბესოსთან უნდა ჯდომა... სადილზე ვერაფერს უხერხებთ—ამოუსკუბდება გვერდში!.. ამდენს სიტყვას იტყვის და ზედ დაუმატებს: „ბესო არ მამიკვდეს ქა“!

— აი ასე მაჯავრებს მუდამ...

— ჰო, მართალია—ლიკლიკებდა მხიარული ლიზიკო—აი ამას ვკითხოთ „მაიტანე“ უნდა თუ „მოიტანე“. ვერ დავასწავლე ქრისტიანული ქართული—სულ „მაიტანე“, მამეცი“, „მამიკვდეს“—ო, გაიძახის...

— არც ერთი არ ვარგა...—გადავწყვიტე მე.

— შენც ერთი დამიწყებ ახალ-ახალ ამბებს—შემომწყრა ლიზიკო—აბა როგორ უნდა?

— მოიტანე, მომეცი!..

— ეჰ, ჯანი გავარდინა!.. „მაიტანე მაინც არ ვარგა, ბესო არ მამიკვდეს“! —გადიკისკისა ლიზიკომ.

ჭიშკარი გაილა.

— ბესო მოდის!.. ჩაუჩურჩულა ქეთომ ლიზიკოს.

— აბა, აწი რაღა გიჭირს?!—უპასუხა ლიზიკომ.

ჭიშკრის გაღებისთანავე მოისმა ბესოს ხმა:

— დასცხეთ, აბა ერთი, თქვენი ჭირიმი!..

მხიარულმა ზურნამ საერთო ყურადღება მიიქცია.

— შე გადარეულო, შენ!.. ვერ მოითმინე ერთი წუთი—აქ გექეიფნა, დაგვხმარებოდი სტუმრების გართობაში...—უსაყვედურა დიასახლისმა.

— არაფერია, ბიცოლა, მოვასწროფ აქაც... ამ შენ სტუმრებს სულ სუფარიმ ქვეშ შევაძვრენ...

— ვნახოთ!..—ცოტა უსიამოთ უპასუხა ერთმა მაყრთავანმა.

ბესო აივანზე მარდათ ავიდა, პატა-

რძალი გადაკოცნა და სიძეს მოუბოდიშა:

— უკაცრავად, ჩემო კოწია, რომ დავიგვიანე—კოცნით ეუბნებოდა ბესო—მაგრამ უზურნოთ ჩემი სონას ქორწილი არ მინდოდა დამეტოვებია... აქ, დუქნებზე ვერ ვიშოვე, ბაზარშიაც გამიჭარდა... წარმოიდგინე, ვაჭრები დანებებას არ მიპირებდნენ... ჯერ პატიოსნად უთხარი, კოწია დღეს ჩემს ბიძაშვილზე ჯვარს იწერს, ზურნა, თუ შეიძლება, დამითმეთ—მეთქი. წადი, მითხრეს, საქეფოთ ეხლა დაგსხედით და კოწია კი არა, დავით და კონსტანტინე რომ იწერდნენ ჯვარს, ვეახლებით ჩვენზე ზურნით, დამობით კი ვერ დაუთმობთო... გავბრაზდი, თქვე ვირისთავებო, დავით და კონსტანტინე რა თქვენი სახსენებელია მეთქი... ცოტა ზარბოზით მაშინაც ვიყავი, დავატანე დარჩო-მედულუკეს ხელი და გამევიდგიწინ... დარჩოს უმისოთ რას გააწყობდნენ დანარჩენი მეზურნეები... ისინიც გამომყვანენ... ვაჭრებმა—ერთი ცხვარი მეც მნახეს!—წინააღმდეგობაზე დადგენ, შევბურძაყდით, მარა...—ბესამ ჩაიციინა—იმ უსინდისობებმა ახალხი კი მომაჭრეს... ზურნათ არ გამოადგებათ ჭრილობის შესახვევად არ ეყოფათ...

— ქა, რას ამბობ?.. შენც არ იყო დაკოდილი?—გაიწია ბესოსკენ ქეთომ.

ამ სიტყვებმა სიცილი გამოიწვია.

— ნუ გეშინია, ჯერ ყოჩაღათ ვარ!—სიცილითვე უპასუხა ბესომ.

— ქეთო შეკრთა, მიიხედ-მოიხედა, რა ფიქვი ასეთიო და დარცხენილმა ისევ ლიზიკოს გაუყარა მკლავში ხელი, თითქოს მფარველობას სთხოვსო.

— აკი გითხარი—ქრისტიანულად ილაპარაკე-თქო!—წასჩურჩულა ლიზიკომ.

— ახლა შენთან ვარ, კოწია, შენ გენაცვალე! შენ ქორწილზე უნდა ვიქეიფო რჯულზე, რომ არ დავავიწყდეს ძმა-ბიჭობა, დარდიმანდობა, ახალგაზდობა, რომ ცოლის შეერთვამ არ შეგცვალოს, მუდამ ახალგაზრდა და მოქეიფე დარჩენილიყვე!..—დაათავა თავისი სიტყვა ბესომ და მეზურნეებს გადასძახა:

— აბა ერთი ლეკური! ბესო აივანიდან ეზოში ჩამოვიდა.

— პირველად მეფე-დედოფალმა უნდა იცეკვოს!..

— კოწია! კოწია!—დაუჭირეს პირველს მხარი.

— ვარდენ, გვასახელე ერთი... ჩამოუარე ორბივით—შიმართა ბესომ ერთ ყმაწვილს. კოწია სადღაც სუფრაზე ძიღებულ კრილობისგან კოჭლობდა და ბესოს არ უნდოდა ძველი მეგობარი და ახალი სიძე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო.

უცნობი ყმაწვილი მართლაც ორბივით გამოვარდა წრიდან, ჩამოისრიალა, გაჩერდა ქეთოს წინ და თავი დაუკრა.

ქეთო გაჰყვა.

ძთელს სიძახეს სიყვარულისას, კრთომას გრძობისას, ძორიღებას და აღტაცებას ხატავდა ცეკვით და რხევით ვარდენი.

ქეთო კი გადაჭრით უპასუხებდა, ნუ დამსდევ, ხუ ძაწუხეიო, თავებდობ, ჩემთან რა საქმე გაქვსო.

მათი ცეკვა ტრაგედიის პატარა ნატეხი იყო.

ქეთომ ძალე გაათავა.

ტაშმა დააჯილდოვა ისინი.

— ახლა 'მეს იცეკვე, ბესო, შენ!—შეებატიუენ ბესოს.

— 'მეს და ქეთომ...—დაუმატა ლიზიკომ.

სიშნად მადლობისა ქეთომ მუჯლუგური წაჰკრა ლიზიკოს და სიყვარულით 'მეხედა.

— აბა, ხუ გამამტყუნებ!—თხოვა კოწიამ.—მეფე ძიოძაყეილია!—და ბესომ ხელი გაშალა.

თავის დაკვრა აოც კი აცალა.

ბუჩქებიდან გამოპაოულ ხობბის ქუტულივით, გამოვიდა ქეთო წრიდან.

ეხლა სხვა გვარად ცეკვავდა ქეთო. გაუბრბოდა, თან ოხევიო ეუბნებოდა, არ დამ'ხოოდე, აო მოძკლაო, თავს დახრიდა გა'შლილ მკლავთა ძორის რომ გასხლეთოდა, ძაგრამ აღიზიანებდა, ხელი ოათ არ მომხვიეო... შორიდან მოცურებულ ნახად იოგვილივ ტორტმანებდა, ძწვავე ფიქოით აღვსებული, შევეხო თუ გავმოკდეო...

ბესო კი ლალი და გახარებული რომ ხელში ჰყავდა დამონებული, მხოლოდ ქალის ბავშვური თავმოყვარეობის დასაკაყოფილებლად დასდევდა, თავს ევლებოდა, ეხვეწებოდა და ჰმუნვარებას ეძლეოდა, თორემ იცოდა, რომ ხელში ჰყავდა დამონებული.

ეს იყო მწყემსების იდილია. ქეთო მთელი საუკუნე ასე იცეკვებდა, რომ ბესოს არ ჩაეფუჩუნა:

— გაათავი, გენაცვალეო!

სახე გაწითლებული კიპაფილი ქეთო უკანასკნელად შემოტრიალდა, პირმცინარმა ბესოს და მერე მთელ საზოგადოებას თავი დაუკრა, თითქმის კითხულობდა ჩვენმა ტრფიალმა თქვენც ხომ გასიამოვნათო...

დიდხანს არ შესწყდებოდა ტაში და ვაშას ძახილი, რომ ქორწილის გამგეს, ოჯახის ერთ ახლობელ ნათესავს არ მიევატარებოდა:

— მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით, სადილი მიირთვით.

ჩვენ ზღაპრით, ნელ-ნელა, ჩვეულებრივად უკან ხევით, გზის დათმობით ავდიოდით აივანზე.

გამგე გვაჩქარებდა.

— უკაცრავად, სადილი დაგვიგვიანდა... ეხლა მაინც დროზე დაგვადეთ... დავსხედით.

მე კარგ ადგილას მოვხვდი; ლიზიკო გვერდში მიჯდა, ქეთო წინ, ცოტა დაშორებით. ბესომ სუფრის მეორე თავში, მეფე-დედოფლის პირდაპირ აირჩია ადგილი.

— ჰგავს, გრძნობდა, თამალობა არ ასცდებოდა.

და მართლაც ერთხმად აირჩიეს.

— შეხედე, შეხედე ქეთოს—წამკრა ხელი ლიზიკომ—როგორ გახარებულა, მისი ბესა რომ აირჩიეს.

— სრულიად არა!—იმართლებდა თავს ქეთო.

— ძმაო კოწია!—მიმართა თამადამ მეფეს. ბევრს ამის მეტად არც კი უნახებხარ, მარა ნათქვამია—გულს გული იცნობსო... ამიტომ რაკი ჩვენს ოჯახში შემოდგი ფეხი, დაუმოყვრებლად ვერც ჩვენ გაგიშვით და არც შენ დაგვშორდი. გისურვებ, რომ დღევანდელი საუკუნო კავშირი ყოფილიყოს თქვენდა საბედნიეროდ და მშობელთა სანუგეშოთ. გამარჯობა თქვენნი, დაო სონა და ჩემო ძველო მეგობარო, აწუ კი ძმაო, კოწია! ალავერდი, ბატონებო!...

— იახშიოლ, იახშიოლ!... ყოჩაღ, ბესა! აი გამოგვადგა ტოლუმბაში—გაიხმა სუფრახზე.

ქეთო, ეტყობოდა დარწმუნებული იყო, რომ ამაზე უკეთესად სმურის თქმა, მეფე-დედოფლის დალოცვა, შეუძლებელია და მორცხვი, თავდაპირველი ამპარტავნებით თავს ქვევით ხრიდა, რათა არავის შეემჩნია მისი ბედნიერება და სიხარული.

ლიზიკოს მივუბრუნდი ჩემად ვკითხვი:

— ბესოსაც ასე გაგიჟებოდა უყვარს ქეთო?

— თავისებურად მაგასაც შეიძლება უყვარდეს, მარა—რაა მაგის სიყვარული?.. სახლში ნახევარჯერ არ არის—შია ქეთოს თუ სწყურია არ იცის...

— სად დადის?

— სად წავა?!. გადავა დუქნებზე, დათვრება და ნაშალ-ფარასავით გადაყვება ვისმე...



პრპ. ვას. პორ. გოგონიაშვილი ავსტრიის ასპარეზზე ბრძოლაში იერიშის დროს დაჭრილი ტყვედ წაიყვანეს. ხაშმელია, მასწავლებლად ნამყოფი. ტყვედ წაყვანამდე წარდგენილი იყო პოდპორუჩიკობაზე.



ვასილ ნიკოლოზის ძე ვაშაძე დაიჭრა ოთხჯერ

— დარჩა კიდევ რამე საჭიფოდ?

— ამ სოფელში მინგრეულ-მონგრეულ ეზოს მეტი არაფერი, მარა მთაში აქვს, მგონი, კარგი ნაწილი; ხან ხიდის, ხან აგირავენს, ხან მეჯოგეს ორ-სამ მანეთს წააფტქენის და მერე კვირაობით დაიკარგება... ქეთოს კი ზოგჯერ შია, პირდაპირ შია. მაგრამ ქეთო ნამდვილი ანგელოზია, ერთ საყვედურს არ ეტყვის, არ უნდა, არ შეუძლია ოდნავაც არის შეაწუხოს... პირიქით ამართლებს ყოველთვის ბესოს... აი გუშინ წინ...

ბესამ ხელი შეგვიშალა—ვეებერთელა ყანწით ჩემთან ალავერდს გადმოვიდა.

მე უარს ვიდექი. ბესო მაძალებდა.

— კარგი ახლა, ნუ შეგვაწუხებ შენი პატივისცემით! — გამომესარჩლა ლიზიკო.

ქეთოს ეწყინა, რომ ბესას ლიზიკო უკმეხად მოეპარო და საყვედურით შეხედა.

— აი, ასეა მუდამ...—გადმომილაპარაკა ლიზიკომ—თუ ბესოს ვინმემ ერთი სიტყვა შეუბრუნა მოილუშება... ჰო იმას გუუბნებოდი, გუშინწინ ქეთოსთან გადავიდი. ბესა არ იყო სახლში. ქეთოს პურის ზელა დაეწყო... მეც კი დამერიდა. ბოლოს დამალვა რომ ვერ მოახერხა, მითხრა:

— ქა, რა უბედურებაა, არც იზილება და არც ხელიდან მშორდებაო! — კიდევ გასცინა ლიზიკომ, რომელსაც შინაურები მიმბძველი ლაპარაკისათვის „ჩიკვს“ უძახდი.

— ლიზიკო სულ ჩემზე ლაპარაკით გაწუხებდა, არა?! ჩაგვირია ქეთო ლაპარაკში... ცალკე სიტყვები მასაც უსათუოდ ესმოდა.

\* \*

სმურს სმური მოჰყვა. თითო კიქა ორ-ორით შესცვალეს, ყანწის მაგიერ ბადია აიღეს ხელში და ქეიფი ლობობაზე გადავიდა.

ქალები ადგნ. მათ აჰყვა, ვინც ხანგამოშვებით, ცოტ-ცოტას სვამდა. მოხუცნი მოსასვენებლად წავიდნენ, პატარები სათამაშოდ.

დარჩნენ გამობრძმედილი მსმელები. ქიშპობა იყო მოსულთა და დამხდურთა შორის.

ორივე მხრიდან ადგა რამოდენიმე სრულიად გონება დაკარგული, ფეხის ბანდალით, ენის ბორძიკით.

ბესა მაინც იჯდა.

საკვირველი იყო როგორ უძლებდა ბესა; წინადაც საკმაოდ ნასვამი, როგორ იტანდა ამოდენ ღვინოს.

ემლებოდა სიმღერის მუხლები, მაგრამ მაინც ტკბილად მღეროდა.

ქეთომ, ლიზიკომ და მე ჯერ ვეცადეთ რითიმე თავი გაგვერთო, მაგრამ აივანზე ხმაურობამ დაგვიშალა და ვერც ბანქოსი და ვერც ნარდის თამაში ვერ მოვახერხეთ, ეზოში კი სიომ სახთელი არ დაგვიყენა.

ისევ სეირნობა ვარჩიეთ.

მზიარულად ვმუსაიფობდით. ქეთოს თვალი სულ აივინსაკენ ეჭირა, საიდანაც ისმოდა სიმღერა და ცალ-ცალკე თითო ოროლა სიტყვა.

— აქ დავსხედეთ—მოგვიწოდა ქეთომ,—აქედან კარგი გადასახედვაა, სადაცაა მთვარეც ამოვა.

— ცვარია!—შეგვაჩერა ლიზიკომ.

— რა უშავს, ხომ არ დავდებოდა უპასუხა ქეთომ.

— ჩემი წყალობა კაბა არ გენანება განა?—თითქოს სტუქსავსო, დაეკითხა ლიზიკო.

ცოტა არ იყოს უხერხულ მდგომარეობაში ვიგრძენი თავი; შენიშვნა არ მომეწონა, მეგონა, მართლაც ნაჩუქარ კაბაზე გადაჰკრა ლიზიკომ მეგობარს.

— წარმოიდგინე! — ხელოვნურის აღშფოთებით დაიწყო ქეთომ—ამ ქალბატონს ჯვარისწერაზედაც ვერ ვნახავდით, რომ მე არ ჩავერიოდი საქმეში... წინა-კვირას გიყი ბესა გაუწყურა: ჩეიცვი, რაღა ჩამოხეულ-ჩამოტილული დადინარო; ამ ქალბატონმა კი უპასუხა, სახლში უკეთესი რად მინდაო.

დაიცა, ქალო!.. შეაჩერა ქეთომ, მაგრამ ლიზიკომ ყური არ ათხრავა.

— ...იცოცხლე, მივლანძღ-მოვლანძღე ორივე; ამას ჩერჩეტა დოუძახებ, ბესოს კი მივდექი: შე უხეირო, სოფელ-სოფელ რომ გალეშილი დეეთრევი, ერთი ცოლს ვერ შეხედავ, აქვს რამე ჩასაცმელი თუ არა-მეთქი? რომ ეუბნები, ჩეიცვი, ჩეიცვი, რომელი ფარჩა და ქინასური შენ მოგიტანია-თქო; ამ კონკის მეტი რომ არაფერი აქვს ხედავ-თქვა?!

— მართლა მეტი არ უნდა? — ბრძანა ერისთავ-ერისთავმა, წინადაც ააშენა ღმერთმა მისი ოჯახი, ქმ მოუტანა ქეთოს სატანისაძოსე და წაღებოდა... არა, შენ უნდა გეყურებოდა ამ ქეთოხელ ქალბატონისათვის: „ქა, ჩეიშთის როგორ შეგაწუხებ, იქნებ ფული არა აქვს და ისესხოსო?“ აი დარდს თუ ისესხებს—ცოლი შეუერთავს, ქეც უნდა მოუაროს!...—დაათავა ლიზიკომ თავისი მსჯელობა, დაჯდა, ქეთოს ხელი მოხვია, თითქოს ბოდიშს იხდიდა, შენ საიდუქლონი გამოვამუშავებო.

— მაღლობა ღმერთს, გაათავე... ეხლა შენი ამბავი თქვი... რა მეოჯახე ხარ, რამდენი აბრეშუმი მოიწიე... იქნებ, შეებრალო და საქპრო გიშოვნოს—დაიწყო ქეთომ, რომ სამაგიერო გადაეხადა ლიზიკოსთვის, მაგრამ არ დასცალდა... უეცრათ გავიგონეთ ყვირილი:

— რაო? ვის უბედავ?...

აივანზე ჯერ ერთი ყმაწვილი გამოვარდა, კიბე ჩამოირბინა და შეჩერდა... მას მოსდევდა ბესა.

ქეთო მათკენ გაიქცა... ჩვენც დავვედევით.

— არა, შენ რაღა გამიბედე—უყვიროდა ბესა და ყმაწვილს უახლოვდებოდა...

— კმარა, რაც მიქენი... არ მოხვიდე, თვარა არ დაგზოვავ.

— არ დამზოვავ თვარა!—და ბესამ წინ წაიწია, მაგრამ უეცრად დაიღრიოლა:

— მომკლა ამ გლახაკმა...—ხელი მუცელზე შიიჭირა, დაიჩოქა და ნელა მიწაზე პიოდაღმა დაეშვა.

ჩვენ მხოლოდ წაქცეულს მივუსწარიით. ქეთო და მე ვეცადეთ გადმოგვებრუნებინა, მაგრამ ბესა არ გვემბოღებოდა.

— არ გადააბრუნოთ, არ გადააბრუნოთ—გაგვაფოთხილა გამოცდილმა თეხანჯლემ—ასე სჯობია, სისხლი შიგ არ ჩაქცევა. შეგირცხვა ვაჟაკობა—მიუბრუნდა კოწია ბესას დამტყუელ ყმაწვილს—ხანჯალი წვერით ჩაგიცია.

— რა მექნა, ვერ მოვიშორე და!— გაიმართლა თავი ყმაწვილმა.

— კაია, კაი! ხანჯალი მაინც ჩააგეს ასეთ მდგომარეობაში არ ვიყო, გო ჩვენებდი რაცხა ბიჭი ხარ!...—დაქაღნა კოწია.

— ახლა ნამეტარს ნურც შენ გაირტყლაქები—შეუტია თავის მხრით შეურაცხყოფილმა ყმაწვილმა.

მეორე ჩხუბი მოხდებოდა, რომ გამზავებულნი არ ჩავადინილიყვნენ შუაში და თავხედი სტუქაოი ხანჯლის წართმევის შეძლეკ ერთი ვაი ვაგლახით ცხენზე არ შეეჯდინათ და ქიშკარზე არ გადაეყვანათ.

ექიმზე კაცი ვაფრინეთ.

ქეთოს ხმა არ ამოუღია. თვალზე და ნესტოებ დაფართოვებული, პირდაღებული და გაყვითლებული იდგა.

წყალიც ვერ დალია.

საჩქაროდ მოსულმა ექიმმა ბესოს ძლიერ საშიშრო, მაგრამ არა სასიკვდილო ჭრილობა გაუკერა, ქეთოს წვეთები გამოუწერა, გვირჩია განსაკუთრებულის ყურადღებით ქეთოს მოვპყრობოდი და წავიდა.

მეც მასპინძლებს გამოვეთხოვე.

\* \*

ორი წლის შემდეგ ბესოს ეზოზე მომიხდა გზად გავლა. ბესო არ იყო სახლში. ის და ახალი ცოლი სადღაც ნათლობაში წასულიყვნენ.

საზარი სურათი ენახე.

ქეთო ცაცხვის ძირში იყო მარტო-ულეხული. უაზროდ, დინჯის ნაბიჯით მიდიოდა ის სულ წინ, სანამ

წელზე შემორტყმული თოკი არ გაქაჩავდა, რომ შემობრუნებულს პირდაპირ, გზის გაღუბვევლად განეგრძო სიარული.

ფეხ-შიშველი... შემოხეული, უსახელო კაბა... შეკრეპილი თმა... ფერ-შკრთალი, დანაოკებული სახე... გამომშრალი თვალები და განუწყვეტელი ბუტბუტი:

პირუტყვი... პირუტყვი... პირუტყვი.

მიუახლოვდი... ყურადღება მაინც არ მომაქცია; დაველაპარაკე—ერთი კი შეჩერდა, მერე ისევ განაგრძო ისევ სიარული და ბუტბუტი:

ცხოველი... ცხოველი... ცხოველი...

ბესა უხსენე... შემომიბრუნდა... სახეს ტკბილმა სევდამ გადურბინა... ჩემია, ჩემია, ჩემია—გაიმეორა უთვალავჯერ და ისევ დაიწყო გაუთავებელი სიარული და ბუტბუტი:

პირუტყვი... პირუტყვი... პირუტყვი... გამოვიქეცი, ვერ გაუძელი ახლოს საზიზღარი, შორით საცოდავი, მოგონებაში სასოების მოშგვრელი, ქმნილების ცქერას...

ნ. ლორთქიფანიძე.

1914.

# ქართველი ტიპები

